საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №51/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 18 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 ივნისის №-- დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- გამოიჩინა გულგრილობა. კერძოდ, სათანადოთ არ შეისწავლა საქმის მასალები და 2018 წლის 10 ოქტომბრის განაჩენით ძალაში დატოვა მის მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დამდგარი განაჩენი. ამასთან, მოსამართლე -- -- საქმეზე მიიღო უკანონო სააღსრებლო ფურცელი და აღსასრულებლად გადააგზავნა სააღსრულებლო ბიუროში, მაშინ როდესაც საქმეში მსჯავრდებულის მიერ წარმოდგენილი იყო დაკისრებული ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 მაისის განაჩენით -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა -- (-- --) ლარის ოდენობით.

2018 წლის 29 მაისს, მსჯავრდებულმა -- -- სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს და ითხოვა -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 მაისის განაჩენის გაუქმება.

ამავდროულად, 2018 წლის 22 ივნისს, მსჯავრდებულმა -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს და განაცხადა 2018 წლის 01 მაისის განაჩენით დაკისრებული ჯარიმის -- ლარის ნებაყოფლობით გადახდის შესახებ.

ამასთან, მსჯავრდებულმა სასამართლოს წარუდგინა გადახდის ქვითარი, რომლის თანახმად, დასტურდება, რომ -- -- მასზე დაკისრებული ჯარიმის გადახდის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს

სახაზინო სამსახურის ანგარიშზე გადაიხადა -- (--) ლარი.

მსჯავრდებულმა 2018 წლის 22 ივნისის განცხადებაში აღნიშნა, რომ დაკისრებული ჯარიმიდან დარჩენილი -- (--) ლარი დაიფარებოდა მის მიერ გირაოს სახით შეტანილი თანხიდან.

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით ძალაში დარჩა -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 მაისის განაჩენი -- -- მიმართ. -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა -- (-- --) ლარის ოდენობით.

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის -- -- მიერ 2019 წლის 24 იანვარს მიღებულ იქნა სააღსრულებლო ფურცელი, დაკისრებული ჯარიმის -- ლარის აღსრულების მიზნით. -- სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 24 იანვრის წერილით განაჩენის ასლი და სააღსრულებლო ფურცელი გადაეგზავნა -- სააღსრულებლო ბიუროს -- -- მიმართ განაჩენით განსაზღვრული სასჯელის აღსრულების მიზნით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 ივნისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 18 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით გათვლისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოდგენს მოსამართლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც არღვევს კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, დისციპლინური საჩივრის შინაარისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეფასდეს წარმაოდგენს თუ არა მოსამართლე -- -- ქმედება კომპეტენციისა და გულისხმიერების პრინციპის დარღვევას.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების 6.2 პუქნტის თანახმად, მოსამართლე თავის პროფესიულ საქმიანობას უძღვნის სამოსამართლო ფუნქციების შესრულებას, რომლებშიც შედის არა მხოლოდ სამოსამართლო და თანამდებობრივი მოვალეობების შესრულება სასამართლო განხილვისას

და გადაწყვეტილების გამოტანა, არამედ სხვა ამოცანებიც, რომლებიც მოსამართლის თანამდებობასთან ან სასამართლოს საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების 196 პუნქტის თანახმად, ყოველმა მოსამართლემ გარკვეული მოცულობით უნდა შეასრულოს ადმინისტრაციული ფუნქციებიც, რომლებიც საქმეთა მართვას უკავშირდება, და არა მხოლოდ მათ გადაწყვეტას. მოსამართლე პასუხისმგებელია სასამართლოში მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულებისათვის.[1]

სისხლის სამართლის სფეროში სამართლის უზენაესობის პრინციპი მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის სანქციები და სასჯელები სრულად იყოს აღსრულებული, დამოუკიდებლად დაკისრებული სასჯელის ხასიათისა.

სასჯელის სახით პირს შეიძლება თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა, ან სხვა სანქცია შეეფარდოს (მაგ. მართვის უფლების ჩამორთმევა, პროფესიის მიხედვით მუშაობის აკრძალვა და სხვა). როგორც წესი, მოსამართლე არ უზრუნველყოფს ასეთი სანქციების აღსრულებას. ასეთი ღონისძიებების განხორციელებაზე პროკურორები, პოლიცია და სხვა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებია პასუხისმგებელი.[2]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განაჩენის, განჩინების აღსასრულებლად მიქცევა ევალება ამ გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს. განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას სასამართლო განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც ევალება მისი აღსრულება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განაჩენის აღმსრულებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს განაჩენის დამდგენ სასამართლოს მისი აღსრულების შესახებ. ხოლო, მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დაჯარიმებისა და სხვა ქონებრივი სახდელის ნაწილში განაჩენის აღსასრულებლად იწერება სააღსრულებო ფურცელი.

საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზემოაღნული წესის ანალიზიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ კანონი სასამართლოს უდგენს განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის ვალდებულებას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით უტყურად დადგინდა, რომ -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის -- -- 2018 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით ძალაში დარჩა -- -- სასამართლოს 2018 წლის 01 მაისის განაჩენი და -- -- სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა -- ლარის ოდენობით. ამდენად, მოსამართლეს გააჩნდა სამართლებრივი ვალდებულება ემოქმედა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის შესაბამისად და გაეცა სააღსრულებლო ფურცელი.

ამასთან, -- -- მიერ მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მას სააღსულებლო ფურცლის გაცემის მომენტში უკვე გადახდილი ჰქონდა ჯარიმის სახით დაკისრებული თანხა, რაც მომჩივანის შეფასებით სასამართლომ არ გადაამოწმა, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს არ აკისრებს ვალდებულებას დამოუკიდებლად მოიკვლიოს სისხლის სამართლის სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის აღსრულების საკითხი. სასამართლოს გააჩნია სასჯელის აღსასრულებლად მიქცევის ვალდებულება, ხოლო სასჯელის ფაქტობრივი აღსრულება წარმოადგენს შესაბამისი აღმსრულებელი ორგანოს უფლებამოსილების სფეროს, რომელიც შესაბამის შეტყობინებით ახდენს სასამართლოს ინფორმირებას სასჯელის აღსრულების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში, სააღრულებლო ფურცლის გაცემის წინ, მსგავსი შეტყობინა სასამართლოს მიმართ არ ყოფილა.

---

[1] იხ. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები გვ. 184http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes2.pdf

[2] იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2010 წლის №13 დასკვნა, პუქნტი 36: 39 http://hcoj.gov.ge/files/pdf%20files/aqtebi/CCJE%282010%29OPINION%2013_GEO.pdf

ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიჩავს დისციპლინური გადაცომის ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2020 წლის 12 ოქტომბერს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას. შესაბამისად, ვინაიდან მოსამართლე -- -- მიმართ სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით არ იქნა მიღებულა გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე, მოსამართლის მიმართ შეწყდა დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №51/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი